



თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია
TITUS Project, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი

ქართლის ცხოვრება

სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა,

ტომი I

თბილისი

1955

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი

ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა მოადგა სამშულდესა და წარიღო, და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო, მოაოჭრა სომხითი და წარვიდა. ხოლო მას-ვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა, ჩამოდგა სამშულდის ბარს; და მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი, შეიბნეს ფარცხისს, სძლიეს სპათა გიორგისთა და იოტნეს სპარსნი, რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის.

და წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვსსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს. რომელნი-ცა აიხუნეს თურქთა და დაემკვდრნეს მას შინა. და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერთგან რბევად, ტყუენვად და მოოჭრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა.

რამეთუ მათ ჟამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს გარე-მდგომსა, დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად, ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აეღო კარი. მოვიდეს ესენი შინა-განცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვ.

ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშქართა, ესევეთართა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა დაემთხვევნეს ამირანი დიდნი, იასი ვინ-მე და ბუჟლუმ, და მათ თანა სიმრავლე ურიცხვ თურქთა, საბერძნეთს მიმავალთა. რომელთა იხილეს რა ესე-ოდენი სიმრავლს ოქროსა და სიმდიდრისა რომელი ჰქონდა და ცნეს მეოტობა გიორგისი, და ესმა-ცა მათგან, ვითარმედ: "რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესე-ვითართა სიმდიდრითა". ხოლო მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი.

და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის-პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი. და მას-ვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვდეს, თუ სად-ღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჯურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი ხოლო თუ ვინ-მე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადა-მე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრე-ცა მოისრა.

და განგრძელდა ესე-ვითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათ-ვე პირველთა საქმეთა-ებრ იქმოდინ, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოჯრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მკეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდეს-ვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოკრებათასა. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვსთა, ხოლო საკურთხმველნი ღმრთისანი ადგილად არა-წმიდებისა მათისა. და მდღელნი რომელნი-მე თვთ შეწირვასა-ვე შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნ-ვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს მეუფისათა თანა და რომელნი-მე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი. ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი. და რათა თვთ მათ იერემიასთა ვიტყოდით, რამეთუ ამან ოდენ კეთილად უწყოდა ჟამისა ამის ჯეროვანი გოდება, ვითარმედ: "მენი სიონისანი, პატიოსანნი და ბოროტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტყუეობისათა მოგზაურობენ. ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არა-ყოფისათვის მათ ზედა მედღესესწაულეთასა. და ჯელნი დედათა მოწყალებითანი არა საზრდელისა შვილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თვსსა ჰყოფენ თვთ თვსთა მათ საყუარელთა". და ესენი ესრეთ და ფრიად-ცა უძვრეს.

ამათ რა საქმეთა ესრეთ ხედვიდა მეფე გიორგი და რამეთუ არა-სადათ იყო ღონე კსნისა და შეწევნისა, არ-ცა რა დამკსნელი ამათ ძვრთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთა-ცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა. მაშინ ჰყო განზრახვა დიდებულთა თვსთა თანა, და დაამტკიცეს წარსლვა მაღალსა სულტანსა მალიქ-შას წინაშე.

და ესრეთ დადვა სული თვსი და სისხლნი ქრისტიანეთა კსნისათვს. და მინდობითა ღმრთისათა და წარძღუანებითა ძელისა ცხოვრებისათა წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მისგან ვითარცა შვილი საყუარელი. რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთ-ვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანი-ცა ურიცხვნი საცნაურებანი, მართლ-მსაჯულობანი, მოწყალებანი, ქრისტიანეთა სიყუარულნი, და, რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რა-მე გონება ყოვლით-კერძო აქუნდა ამისთვის-ცა ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტეს-ცა სასოებისა და სამეფო მისი განათავისუფლა ზედა-მარბველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა. და ესრე განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგზავნა თვსად სამეფოდ და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშვიდობისა და რათა აართვან კახეთი. და ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჭინისასა და, ვიდრე ბრძოდეს-ღა, მოვიდა თოვლი.

ხოლო მეფესა გიორგის მოეკსენა ნადირობა აჯამეთისა, არ-ღა-რას ზრუნვიდეს სხუასა, არ-ცა ელოდა აღებასა ვეჭინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოჭრდა მუნ დღეინდელად დღედმდე. ხოლო თვთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად.

მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მალიქ-შას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი. ამათ ესე-ვითართა ჟამთა არა-ვე დამშვდნა ქუეყანა, არ-ცა-რა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათვს მკვდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა, და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესე-ოდენ განარისხეს, ვიდრემდის თვთ მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათვს ესაიას მიერ მეტყუელისა ესრეთ: "ვად ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა, კუალითგან ფერკთათ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე, არ-ცა ბრძულ, არ-ცა შესახუვეველ, და შემდგომნი: 'ამისთვის ქუეყანა თქუენი ოკერ, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენტა უცხო-თესლნი მოსჭამდენ, და მოოჭრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო-ტომთასა.'"

ესე ყოველი მოიწია, და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარ-მცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი

დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი. ამას ყოველსა ზედა არა-ვე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ ზედა,' რამეთუ არა შევინანეთ, არ-ცა გულის-ხმა ვყავთ, არ-ცა ჯეროვნად მოვიქეციეთ გზათა მიმართ უფლისათა. ამისთვის-ცა ქუეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხუანი-ცა საშინელებანი ზეგარდამონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენსა ზედა, რათა არა თქუან მცოდველთა, ვითარმედ: "ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათვის იქმნეს, არ-ცა ღმრთისა მიერ მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა რათა-მე ჟამთათა და დამთხუევითა აღძრვისა საქმეთათა".

ამისთვის-ცა დღესა აღვსებასა, თვთ მას აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო, მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესე-ოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვდრთა. რომელთა თანა თმოგვ-ცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლით-ურთ. და განგრძელდა ესე-ვითარი ძრვა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ.

მაშინ რისხვასა შინა მოიქსენა წყალობა მან, რომელი სწავლის ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს, მოაკუდინებს და აცხოვნებს", რომელი მზა არს წყალობად, უფროს მამისა მოწყალისა, რამეთუ წერილისა-ებრ: არა-თუ-მცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომნი-მცა შევიქმნენით და გომორელთა-მცა მივემსგავსენით, რამეთუ ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭვრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თვთო-სახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით.

მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისა და, უჭემმარიტესი ვთქუათა, "თვთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას რამეთუ კელი მისი შეეწეოდა მას, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი"; "წყალობა და ჭემმარიტება შეემოსებოდა მას"; და "უზეშთაეს ყო იგი უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა" ვიდრემდის "დავსდვა ზღუასა ზედა კელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი". გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა მრავალთა დღეთა შემდგომად იქმნა ესე, ვითარცა წინამდებარემან სიტყუამან ცხად ყოს.

რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოწრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადა-მე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არ-ცა-რა შენებულობა. და მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა ლიპარიტს და მეფესა დავითს წინაშე იყო რე-ცა ერთ-გულად. ეგრეთ-ვე ნიანია კახაბერის ძესა და

სხუანი-ცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადა-ვე და სოფლებად-ცა იწყეს შთამოსლვად და დასხდომად.

და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ღიხთა, და სადგომი სამეფო წალულის-თავი. და ოდეს-ცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან; ეგრეთ-ღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა.

ხოლო ამა ვითარებასა შინა გარდაცდა წელიწადი ოთხი, მოკუდა სულტანი მალიქ-შა და ლიპარიტ ამირამან იწყო მათ-ვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკვდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა. დაღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორ-გულეა და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა. და ვინათგან გულის-ხმის-ყოფა არა ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არა-კეთილსა.

ამას რა ესე-ვითარებასა ხედვითა (?) დავით, ინება გაწურთა მისი. ამისთვის-ცა პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენ-მე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვის-მე. და ესრეთ მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთ-გულობისათვის ღმრთისა შუა-მდგომელად მომცემი განუტევა იგი. და მით-ვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა. რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არ-ცა-ღა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არ-ცა მეჭუელ. ხოლო იგი ვითარცა ძალლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვრისასა: განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვსსა. იხილა რა მშვდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძალლისა არა განემართების, არ-ცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო, და საბერძნეთს გაგზავნა. და მუნ განეკუა ცხორებასა. ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერ-ღა-რა დაიზამთრებდეს ქართლს. რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავკალას და დილომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური.

კახეთს მეფობდა კვრიკე, კაცი მეფობისა-ვე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა და ჭემმარიტი ქრისტიანე. მოსცა. ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარულო კვრიკეს ციხე ზედაზადენი. ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი. და წარემატებოდა დიდებითა და განმარჯუებულობითა. რომელთა თანა ესე-ცა იქმნა: მოკუდა რატი, მე ლიპარიტისი, კაცი ორ-გული და ნანდვლ-ვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახლი ბადვივაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა. და არღარა-ვინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი, რამეთუ აღივსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღილო მეფემან.

და შემდგომად წელიწდისა ერთისა მიიცვალა მეფე კვრიკე, და დასუეს კახთა მეფედ ძმის-წული კვრიკესი აღსართან, რომელსა არა რა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რა-მე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო, და ყოვლად წინა-უკმო მამის ძმისა მისისა.

მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თუალითა და კეთილად გულის-ხმა ყო საქმე, რომლითა მოიმადლებდა ღმერთსა და სარგებელი დიდი იქმნებოდა.

გარდაიცვალა კათალიკოზი გაბრიელ საფარელი და დაჯდა კათალიკოზად იოანე.

რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნი-ვე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თვთ სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო, ვითარცა ზემო ვთქვთ.

და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მკედრისა, არ-ცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არ-ცა მწყემსისა და სამწყსოსა, ვითარცა წერილ არს: მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თვისისა და არა განემზადოს ნებისაებრ მის[ის]ა, იგუემოს ფრიად ამათ უკუე ესე-ვითართა და დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოსი, მღდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მომღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს, და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ ძნელ-და იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები; და მათ წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს, და ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა. და ესრეთ ყოველნი ნიჭითა სამეფოთა წარგზავნნეს თვთოეული სახიდ თვსად. და ესე-ცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა საქმეთა თვსთა, რომლისა სანაცვლოდ იხილეთ, თუ რა განაგო ღმერთმან გულთ-მეცნიერმან, უძილმან მცველმან ისრაელისამან.

რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ვსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჯმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერთთა დაჯოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი, მტერთა-ვე თანა გარე-მოდგომილი ჩუენდა. ესე-ოდენ ადვილად და მოსწრაფედ ჯელთ-უსხნა ღმერთმან საკვრველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ჯელითა

იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი არამედ სანთლითა თვთ მათ-ვე ტყეთათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი.

ხოლო თვთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინ-მე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინ-მე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შემზახებდა ჯმითა მალლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვთ გოლიათ-ებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამკობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუელსა დავითს ელია ზარის ჯელი ჯრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ჯრმლით მისით უკ-მომდინართა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდაჯდისა და სარტყლისა განჯსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყნად რა დაითხია ესე-ოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თვთ მისგან ვგონებდით გამოსრულად. და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესა-ღა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი. და ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და კნინი წარმოვთქვთ.

ესრეთ რა თვთ-მპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, და ნებიერად' აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზე-ებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა. და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა, და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მოსცემდა ჟამად-ჟამად ძლევათა საკვრველთა, და უძლოდა ძალითი-ძალად, -- არ-ცა იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის და სათნო-ყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას. რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელი-ცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცად გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რა-მე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანა-მოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი. და ადავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნად საპოვნელთა.

ამათ თანა დასხნა მუნ-ვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი იავარად მოხმულნი თვსნი და კუალად გვრგვინნი და მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თვთ იგინი-ცა ტყუედ მოიყვანნა, მას-ვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა საკსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვრველისა.

და მუნ-ვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათ-ცა ესმა ვიეთ-მე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და

ჯორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვდრნა მას შინა.

და მამული ლიპარიტეთი უმკვდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მიუხუეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს. და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა. რომელი-ცა აწ წინა-მდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათი.

და კუალად სხუა მოიგონა საქმე შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთ-მოყუარებისა თჳსისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვთო-სახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი და საღუაწნი მათნი ყოვლად-ვე. თვთ მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს-უყვის თვთოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ნატრიდის, განამკნობდის. მოთმინებისა მიმართ, მონახის თჳსითა ჳელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საკმარი მათი, მისცის თვთოეულსა ოქრო საყოფინი, და განაკრძალნის ზედა-მდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღმრთის-მსახურებით.

ხოლო ვიდრე ამა ჟამადმდე (!) ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშულდე და აგარანი თურქთა ჳქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჳქონდეს. თევდორეს, ჳყონდიდელისა დის-წულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა. რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჳყონდიდელსა და მწიგნობართ-უხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯვთ მოიპარეს სამშულდე.

მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა. ცნეს რა თურქთა აღება სამშულდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი. რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უსუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვთო-ფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხჳ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევიანება მათ თანა. თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყვთა და ალაფითა სავსეთა გაზაფხულსა თანა

იწყიან სლვა აღმართ მათათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთ-ვე ზაფხულის-ცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესე-ოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუა-მცა თუ "ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არს-ო". და არავისგან მოსაგონებელ იყო ოდეს-ცა მათი გასხმა ანუ ვნება, არ-ცა თუ თვთ სულტანისაგან.

ოდეს სამშულდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი. მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯჯთა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგვეს ტაძრეულითა. ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესე-ოდენნი დახუდეს მას წინაშე. ცისკარს მოვიდეს თურქნი და იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრეკეს სივლტოლად ესე-ოდენ ზარ-განკდილნი და მოსწრაფნი, ვიდრემდის არ-ცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერჯთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივნეს თვსთა ქუეყანათა.

ხოლო ესე-ვითარსა საკვრველსა სივლტოლასა მათსა თვთ მეფე და სპანი მისნი ესოდენ ურწმუნო იყვნეს, ვიდრემდის არა-ვინ სდევნა ყოვლად, რამეთუ ხვალისა ომი ეგონა. და წარილო გიორგი ჰქონდიდელმან რუსთავი-ცა, მეფისა მუხნარს ყოფასა. ქრონიკონი იყო სამას ოცდა თხუთმეტი რომლისათვს-ცა დიდად წმენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგებოდის, და უგრძნეულად დაესხის და მოსწყვდნის და ესე არა ერთ-გზის ანუ ორ-გზის, გინა სამ, არამედ მრავალ-გზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას.

რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მათათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიჯელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვთ ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უექჟუელ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თვთ შიდიითა სპითა ხუფთით ჰქოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულ-დებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად. რამეთუ ქრონიკონი იყო სამას ოცდათექუსმეტი.

მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვ, და აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა.

და მას-ვე წელსა ასული თვსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი -- ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს -- ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი.

ამისა ჟამთა შევიდენ მთარგმანებელნი წიგნთანი ეგრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იყალთოელი, და იოვანე ტაიჭის ძე, ქრისტეს აქათ ქ(რონი)კ(ონ)ს ჩ~როდ.

და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასამ და შოთა, და აღილო ციხე გიში. და გაგზავნა ძე თვისი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნა ომნი საკვრველნი, რომლითა განაკვრვნა მხილველნი და მსმენელნი; გამოილო ციხე ქალადორი და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა, სავსე ალაფითა და ტყვითა ურიცხვითა.

ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღანუკით წარსლვად რაქსის პირსა, და ზატიკი გარდაიკადა ნაციდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბემქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისა. და ამისთვის უშლიდეს დიდებულნი მას ჟამსა წარსლვად. და არა მოისმინა ყოვლად. არამედ დაესხა თურქთა, რაქსის პირსა მდგომთა,

ამას-ვე წელსა აღილო სომხითისა ციხე ლორე. და მას-ვე წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა, ცისკარს. რამეთუ პირველ-ცა ესე ციხე აელო ბაგრატს, პაპასა მისსა, გარნა სამ თუე ბრძოლითა. ხოლო ამას-ვე წელსა აგვსტოსსა მოკუდა სულტანი მალიქი, მალიქ-შას ძე, და ალექსი ბერძენთა მეფე და ვერ ცნეს ერთმან მეორისა სიკუდილი. ქრონიკონი იყო სამას ოცდათურამეტი.

ხედვიდა რა მეფე დავით ესე-ოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯუებათა თვისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა იყო ესე-ოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათა-მცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თვთ მის თანა მყოფად და მოლაშქრედ-მცა კმა ეყვნეს დაუცხრომელად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ ამისთვის-ცა შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღილო მალად თავი თვისი და მიმოავლო თუალი გონებისა თვისისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანა-მიყოლად კრთომათა და წადიერებათა სულისა მისისათა.

და მსგავსად ალექსანდრესსა ქმნა და ამან-ცა სულთ-ითქუნა, რამეთუ ითქუმის-ცა მისთვის, ვითარმედ ფილოსოფოსმან ვინ-მე რქუა მას: "არიან-ო მრავალნი და ურიცხვნი სამეფონი, რომელთა არ-ცა თუ სახელი გასმიეს შენ." და მან სულთ-ითქუნა და თქუა: "უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი". ამისთვის-ცა ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმკნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა. და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითა-ცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარადანის მისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა

საქართველოსა. ამისთვის-ცა წარავლინა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვსსა.

ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან. ამისთვის-ცა ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს, და სიტყუასა-ვე თანა წარემართა და თანა-წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი თვსი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჯორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანა-აღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა. შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგან-ვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნი-ვე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი და ცოლის ძმანი თვსნი არა ცუდად დაშურეს; არ-ცა ცუდ იქმნა გამოყვანა მათი, არამედ მათითა ჯელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და მათითა თანა-დგომითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წაღმართ.

ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი; თავ-ადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათვს; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვთ მეფემან, ვითა მამა და უმეტეს-ცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიქსნა გლოვა.

ხოლო ყივჩაყი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმკნითა. და თვთ ყივჩაყნი-ცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხვ შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართველნი; და ეგრეთ-ვე თვსისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირ-შეუქცეველნი; და საშუალ მათსა თვთ იგი უმსგავსო სპასპეტი და წინა-მზრდომი, მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროსთვს მოთხრობილთა, წინა-უძლოდა, და იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშურებოდა, არ-ცა მოეწყინებოდა, არამედ ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ, მართებდა და განაგებდა მსგავსად მისსა დიდ-გონეობითა, და ვინ-და-მცა იყო წინა-მდგომი მისი, და ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე. რამეთუ დაღათუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმმართველობისათვს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა, და ჭრელად მრავალ-ფერობისათვს ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გვრგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითა-ცა, არ-ცა განზრახვითა, არ-ცა

სიმკნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე. არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე. და რა-ოდენ საწუთოთა და ჯორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგე-ოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა ჯორციელთა-ვე თანა მისთა პირველთა ყოველთა ჰმატდა. რამეთუ არა სცა ძალი თუალთა, არ-ცა სრული წამთა, არ-ცა განსუენება ჯორცთა თვსთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ. არ-ცა ნებასა ჯორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არ-ცა სიმღერა-სილოდათა და არათურთითა არარა ჯორციელთა შეაკრა გონება, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა და განიცადეთ-ღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალ-გზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად.

ხოლო აქუნდის ჩუეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუენნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა. რამეთუ მათნი-ცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა გარდავიდა მეფე გუგეთს და მიერ ხუფათს, და ამით გულ-პყრობილ ყვნა იგინი. ქრონიკონი იყო სამას ორმოცი. ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს. და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინ-მე შეესწრა ცხენსა და გარდაიხუეწა. აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვ, და მოვიდა ღანუქს.

და მას-ვე შუდეულსა პირ-მარხვასა დღესა აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა, და აღავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა წარმოვიდა ქართლს და მსწრაფლ შეკრიბა სპა, და ჩავიდა შარვანს, მისისა შუდსა, არბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე, და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს. მათ-ვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ, და მოსწყვდნეს შარვანელნი.

თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე ამორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარ-ყვნა, და წარმოიღო ნატყუენავი მათი ურიცხვ. ჩამოვლო მგზავრ, დაესხა სევგელამეჯს თურქმანთა-ვე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა; ესე ერთისა წლისა. და მას-ვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვანტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი:

ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა; რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიადი. ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულ-დებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა, გარნა ლომსა მოჯელოვნებულსა არა სცონოდა, არ-ცა ჰრულოდა ომისათვს, ვერ-ცა-რა დამხრწვევლთაგანი დაიმჭირვიდა წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევიანა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მჯარი სამი. და დახუდა მზად სპა მისი, და პირველ ამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს და აღავსო ლაშქარმან მითით მტკურამდე და გაგათათ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირითა მახვლისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი, თუე მარტი.

გაზაფხულს განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დამტია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულ-დებითა. მაშინ მონახნა მეფემან იგინი-ცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა დაუზრავხა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი. და დაყო ორი დღე, და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა. თუე იყო ივნისი.

ამათ ესე-ვითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთა-მე პირნი, და რომელთა-მე კელები, და რომელნი-მე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თვსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვსი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუსისი, კაცი დაჰმანი და მრავალ-ლონე. და უბრძანა თურქმანობასა სადა-ლა-ცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოდმართ, ყოველსა მჭედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვსა, რომლითა აღივსო ქუეყანა, და აგვსტოსსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვთ ფერჯთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რა-მე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, -- ამათ ყოველთათვს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწევნით ყოველსა-ვე.

რამეთუ პირველსა-ვე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ კელი მალლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და მკლავითა თვსითა მოსრვიდა ზედა-მოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოდმართ აღიარებდეს და მოგვთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა.

ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, -- რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტეოს აღწერად! და

რამეთუ გლეხთა იხილე-მცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რად-და რა-მცა გზნდოდა თქმად.

ხოლო ამაღ რა თხრობად მოვიწიე, ვაეზისა ღირსად შვერაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქველთანი შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ აქილევნი და ეკტორი, მერმე-ცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოძს-მიერნი მეტომეთა თჳსთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა. და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთჳს-ცა მის ჳელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყვს თვთ სადა-მე ალექსანდრე: "არა დიდ იყავ აქილევნი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროსს". რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა ხოლო მეფისა დავითისი ესე-ოდენტა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერ-ცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინა-დადგომად. ჰქონებოდეს-მცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათ-მცა აღწერნეს ჯეროვნად მათისა-ებრ რიტორობისა, და მაშინ-ლა-მცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა. და ესენი ესე-ოდენ.

ხოლო მეორესა წელსა აილო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსა-ვე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაორი.

და მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აილო შამახია და მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, და მოუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: "შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ ველთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს. ძლუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე" ხოლო ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფლ ჳმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასა-ვე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა, და ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყვნეს მაშინ, და იყო შემზმელი კაცი ორმოცდაათი ათასი. და ეუწყა რა სულტანსა ზედა-მისლვა და ძალი და სიმრავლელ სპათა მისთა, და განკრთა, აიყარა ველთათ, სადა დგა, და მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარე-მოიზლუდა ერთ-კერძო სხრტითა და ხანდაკებითა, და სხვთ-კერძო ზღუდითა ქალაქისა შამახიისათა. ხოლო ცნა რა ესე მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა ზედა-მისლვა მლტოლვარისა, არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შეწირა ღმრთისა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა, და ადგილობანსა დადგა.

მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძლუენტა და მუდართითა შეთუილილობათა, ვითარცა მონამან ჭირვეულმან, არ-ლა ძლუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რა-მე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დდე.

მას-ვე დღესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე. იხილა რა ესე სულტანმან, მას-ვე ღამესა გაიპარა, და სასდუნით მეოტი სხვთ გზით წარვიდა სოფლად თვსად. და ესრეთ ძლევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა მეფე. და მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს. და მეორესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს, აღილო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლად. ხოლო სთუელთა გადავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი, და მარტსა გარდამოვიდა ქართლად, და აღილო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა.

და მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან, და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის, და, რა-ცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო ბულთა-ყური, და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა. და მცირედნი დღენი შუა გამოვდეს და განიყარა ლაშქარი თვს-თვსად.

და აგვსტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაწესენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მკედარი წინაშე უდგა წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აღილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი.

და დაიპყრნა არფასლანისანი და ამოსწყვდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო. იმუქვა ღმრთის-მოყუარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლად-ვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქი-ვე ესაფლავა. მაშინ მივიდა თვთ მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ერთობილი ლაშქარი საფლავსა ზედა, და ახლად წესი აღუგეს. და თვთ მეფემან სამ-გზის საფლავსა ჩასმახა: "გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იქსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ჳელთაგან". ამასა ზედან მკუდრისა ძუალთა საფლავით ჳმა გამოსცეს. და ღმერთსა მადლობა მისცა. განუკვრდა მეფესა და ერთობილ[თა] ერთა. და წარმოვიდა მუნით მეფე დავით. და წარმოიყვანა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა და მკვევალთა და სძალთა, და ჩაგზავნა აფხაზეთად; ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად. და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თვსთა. და მერმე წარემართა შარვანს, და აღილო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჳერნი და კახნი. და განმგებელად და ზედა-მხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თვსი სვმონ, ჳყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი, მაშინ

ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვისისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი.

და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვართა ქურდნი, ლეკნი და თარასნი, მოვიდა ქართლად. და ყივჩაყთა თვსთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი, და კაცნი ზედა-მდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არა-ვინ წინა-აღუდგა მას. რამეთუ თვთ სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არ-ცა-ღა თვთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვსად ქონებად, არამედ რა-ოდენ-ცა შორს იყო, ეგრე-ცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღვძარესა სიკუდილი.

ამისთვის-ცა ზედას-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა და მშვდებად პირსა მისსა რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალ-ფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვრად საპოვნელნი, და ეძიებნ მშვდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა. ამისთვის-ცა არა-რას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენ-მცა მუნ თვთ, სადა იყვის, იპოვის მშვდობა და სიცოცხლე თავისა თვისისა. და ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპათაგან წაღებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალ-წილად უკუ-მოიზღუნა ამან მკნემან. დაამშვდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი ოჯერ-ქმნილი. და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშვდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად გარდასრულთა ოჯრებათასა.

ესე-ვითარნი უკუე არიან მეფობრივთა მიმოსლვათა მისთა, წყობათა და ღუაწლთა, ძღუევათა და წარმართებულებათა, დაპყრობათა და ახუმათა დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნნა და აღასრულნა, რომელნი ჩუენ მცირედიითა და ყოვლად კნინითა სიტყვთა წარმოგვჩენიან დიდთა მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან, და ბრჭალთაგან ლომსა და ფესვსაგან მცირისა ყუავილისასა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ ყოფად ვმეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან კაცსა, რომელნი-ესე შეუძლებელ არიან ყოფად.

ხოლო ჯორციელთა საქმეთა ესრეთ მოქმედისაგან უკეთუ ვიეთ-მე ჰგონონ, ვითარმედ რად-ღა-მცა მოეცალა საღმრთოთა და სულიერთა სათნოებათა მიმართ მიხედვად-მცა და მოგონებად, არა თუ ქმნად, ვინათგან ფრიად-ცა კმა არიან ესენი ერთისა ჯორცთა შინა მყოფისა კაცისაგან ქმნად და წარმართებად, და თუ სადათ პოვა სამეფო თვისი სიმდაბლედ შთასრული, და თუ სადა სიმალლედ აღიყვანა, და თუ სადა დასხნა საზღვარნი და ძღუელნი ვითა მძლედ გამოაჩინნა, -- ამათნი მგონებელნი ნუ უკუე არა იბრალნენ, არამედ ეუწყენ მათ, ვითარმედ უკეთუ ამათ პირთათვის ვინ გამოიძიოს და ზედა-მიწევნით ვინ ცნობა ინებოს, კნინ-ღა და ესე ჯორციელნი საქმენი წარმოთქმულნი ფრიად უნდოდ და არა-რად პოვნეს, ვითარცა ნამდვლ-ვე მცირედნი და სასაწუთონი; და დგრომადთა მათ თანა მტკიცეთა და საუკუნოდ ღმერთ-მყოფელთა მისთა საქმეთა, რომელთა-იგი უმეტეს ამათსა მათ მოქმედებდა და უსასწრაფოეს აქუნდა, რომელთაგანნი მცირედნი მრავლისაგან,

ვითარცა სასმელი ერთი მტკურისაგან, ჩუენ-ცა მივსცეთ თხრობასა. იტყვს სოლომონ: დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნე-ო. ხოლო დავით, მამა ღმრთისა: დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისა. ესე შიში უფლისა მოიგო სიყრმიტგან თვსით დავით, და ჰასაკსა მისსა თანა აღორძნდა, და ჟამსა თვსსა ესე-ვითარნი ნაყოფნი გამოიხუნა, რომლითა ორ-კერძო ცხოვრება თვსი განაშუენა, რომლითა შეამკუნა საქმენი თვსნი, რომლითა განაგნა ჯორციელნი და წარმართნა სულიერნი.

ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთთად-ც -- საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, რა-ოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან, და ესე-ოდენ შეიყუარნა და შეითვსნა, რომელ სთქუა-მცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის იგინი იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი -- შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ. დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდებთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტვრთა სიმრავლესა ჯოროთა და აქლემთასა; და სადა გარდაცდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან კელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის.

ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცულად ძილისა ანუ სხვსა რას-მე საქმისა, კუალად კითხვა წიგნთა. და რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწარად, არამედ ფრიად-ცა ფრთხილად ისმენნ წინაშე თვსსა მკითხველისასა, გამოეძიებნ, ჰკითხავნ, უფრო-ღა თვთ განმარტებნ ძალსა და სიღრმესა მათსა. და უსაკვრველეს არს ესე: უწყით ყოველთა, თუ ვითარ სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსა თვსსა და წარტყუენულ ჰყოფს, და ნადირობასა შინა არა რასა სხუასა, გარნა ხილვასა და დევნასა ნადირისასა; და თუ ვითარ კელთ იგდოს, მიმხედველ ჰყოფს. გარნა მისი გულს-მოდგინება ამას-ცა სძლევდა, რამეთუ თვთ ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან კელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვის-მე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის. და ნუ უკუე ჰგონო, ვითარმედ კელითა ცალიერითა მოიქცის, ანუ ცუდად დაშურის. რამეთუ ვინ ჰგავნ ჯორციელი ანუ ვინ იხილა ესე-ოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიძახოს ვინ-მე ითქმის ებრაელი მოისრობის და კეთილ-მმართველობისათვს ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილვეი კენტავროსისგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვრველთა, გარნა ჰემმარიტად ვერ-ცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვხილავს ჩუენ.

და ვთქუა სხუა-ცა საქმე, საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყუარულისა, რომელსა შინა არა-რა იყოს ტყუვილი, ვინათგან წარსწყმედს უფალი "ყოველნი რომელნი იტყვან სუცრუვესა" (?). წინა-დაიდვა ოდეს-მე წიგნი სამოციქულო წარკითხვად; და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხ-ჯერ წარეკითხა.

არიან უკუე სხუანი-ცა მრავალნი საცნაურებანი ამის პირისანი, გარნა მე ერთი-ღა შევსძინო სიტყუად სხუა ამათ თანა. ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა

სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავესე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდეს-მე ყვიან ღვდავი და თვნიერ მიზეზისა-ცა მოსრნიან რა-ოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდეს-მე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალ-ჟამ, რომელი-ესე ფრიად ეძვნებოდა სულსა დავითისსა.

შემოვიდა ოდეს-მე ქარავანი დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუე იგი თურქნი გამოვიდენ დევნად, და მოსწყვდენს ამით ღონითა. ხოლო თვთ სამასითა ოდენ მჯედრითა დაიმალა ღელეთა ავჭალისათა, და არა-ვის მიენდო მჯედარსა სხუასა, არამედ თვთ მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურველო, ჯრმლითა ოდენ. და თანა წარიტანა წიგნი ღმრთის-მეტყუელი, და ამცნო სპათა არა შეძრვად ყოვლად-ვე მისლვადმდე მისა მათთანა.

ხოლო მონათა მათ ყვეს ბრძანებული მათდა, და წარმოიღეს ნახირი; მოეწივნეს თურქნი ვითარ ასი კაცი. და შემდგომად დიდისა ომისა ჩამოყარნეს მონანი და დაუჯოცნეს ცხენნი, გარნა ქუეით-ცა იბრძოდეს ფიცხლად. ხოლო მეფე ცხენსა რა გარდაჯდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსლვასა: შეექცა კითხვასა და ესე-ოდენ წარიტყუნა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინა-მდებარე საქმე, ვიდრემდის ჯმა რა-მე კივილისა შემოესმა ყურთა. მყის დაუტევა წიგნი მუნ-ვე, და აღმჯედრებული მიჰყვა მას ჯმასა. და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თვსთა, ესე-ვითარსა ღუაწლსა შინა მყოფთა, -- და რამეთუ აშორვიდა სპათა თვსთა, და უკეთუ-მცა მათდა ცნობად წარსულ იყო, მონათა დაუჯოცდეს, -- მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარცა არწივი, და დააბნივნა ვითარცა კაკაბნი, და მსწრაფლ ესე-ოდენნი მოსწყვდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეყვნეს მონათა მათ. და აღმჯედრებულთა ესე-ოდენნი მოსრნეს, რომელ მცირედნი-ღა შეესწრნეს ქალაქს. ხოლო გზანი სავესენი იყვნეს მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ჯრმალმან-ცა და ღულარჭნილმან უარ ყო ქარქაში თვსი. მაშინ-ღა მოვიდა სპათა თვსთა თანა, რომელნი ფრიად აბრალეზდეს მას. განიცადეთ-ღა ჩემდად, რომელ ესე-ვითარსა საქმესა შინა და ესე-ოდენ უცალოსა წიგნი-ვე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ. და ესენი ესე-ოდენ.

ხოლო ვთქუა ესე-ცა, ვითარმედ უკეთუ-მცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემცნებანი, პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ მღუანებულთა, ანუ ვერას წარმართებულთა შემთხუეულნი წინა-განსაკრძალეზელად სახედ არა შემოეზუნეს და არა მოეჯმარნეს, ვითარცა იტყვს სოლომონ, ვითარმედ: "იგნის ქცეულებანი ჟამთანი, აღქსნანი იგავთანი და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი", -- არა-თუ-მცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესე-ოდენ დამდაბლებული, ესე-ოდენ ძნელი და ნანდვლ-ვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერ-ვინ სხუამან. რამეთუ განბრძნდა უფროს ბესელ[იელ]ისსა (!) და უმეტეს ეთამ ისრაიტელისა, წერილისა-ებრ; და ვითარ ვინ აღრაცხნეს რა-ოდენნი საქმენი ეთხოვეზიან მეფობასა, რა-ოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი,

განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მწედართა განწესებანი, საერონი შიშნი, საჯელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებულთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, და რა-ოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყვთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელთა შინა ვერ-ვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვსითა ქმნნა.

რამეთუ სულტანი დასუა მოხარკედ თვსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარ-ცა სახლეული თვსი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად კელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი. და რათა მოკლედ ვთქუა, პირველ ყოფილნი მეფენი, გოლიათნი, გმირნი კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვანნი, მკნენი და ძლიერნი, და რათა-ცა საქმეთა ზედა სახელოვანნი, ყოველნი-ვე ესრეთ დასხნა, ვითარცა პირუტყუნი ყოველსა საქმესა შინა.

ხოლო კუალად საღმრთოთა სათნოებათა და სულიერთა საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწუთეს, ანუ მოგონებულსა ვისმან ენამან შეუძლოს თხრობად. რამეთუ ვითარცა ღმერთი მართლ სჯიდა სამწყსოთა თვსთა თუალ-უხუავითა მით ბჭობითა თვსითა, და არა სადათ მიდრკებოდა წამი სასწორისა", ვითარცა სოლომონისთვის გუესმის საბჭოთა შინა და თვთ მოსეს-მიერნი გუაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი. ხოლო თავი სათნოებათა, სიწმიდე, ესე-ოდენი მოიგო, ვითარცა დიდმან ანტონი: ნუ მეტყვ მისთა სიჭაბუკისათა რათა-მე, რომელნი არ-ცა ღმერთმან მოიკსენნეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედლითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანა-მოწამებითა სჯნდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა. კუალად ლოცვისა და მარხვისათვს რად-ღა საკმარ არს თქმა, რომლისა იგი საკმარ ოდენ იყო. და კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა.

ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის. კუალად წყალობა გლახაკთა ესე-ოდენი აქუნდა, ვიდრემდის აღავსო ზღუა და კმელი ქუელის საქმემან მისმან. რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნი-ცა, მთა-წმიდისა და ბორღალეთისანი, მერმე-ცა ასურეთისა და კვპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროს-ღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო

ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი თვით-ფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორეს-ცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალ-ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიასო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა.

და კუალად დღითი-დღე წარსაგებელთა, რომელთა თვსითა ჯელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღრაცხოს თვნიერ მამისა ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისა კისაკი მცირე: აღავსის დრაკნითა რა დღე სარწმუნოთა თვსთა ჯელითა, და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა. ოდეს-მე ნახევარი წარაგის მისი, და ოდეს-მე არა-ვინ ეპოვნის, და ეგრე სავსე მისცის დამარხვად ხვალისა და სულ-თქმითა თქვს: "ოდეს ვერა მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათათა". და ამას არა თუ ჯელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ჯელთა თვსთა ნადირებულისა. რომელთაგანი თვსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდეს-მე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა. და ესე-ცა მცირედი მრავლისაგან თქმად შეუძლებელ.

ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნი-ცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა. ხოლო ამათ თანა რა-ოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რა-ოდენნი ჯიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რა-ოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა, რა-ოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რა-ოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა, და დადვა მისთვს უმეტესი მოსწრაფება, რათა-მცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კოსტანტინე.

სხუათა-ვე კეთილთა თანა აქუნდა ესე-ცა, რამეთუ სლვათა შინა თვსთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა ვერ აღვილად მიემთხუეოდინ მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი, განალა ვიეთ-ლა-მე რომელთა საჭიროდ უკმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუე და ვინ-მე აღვიდის ბორცუსა ზედა რას-მე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა გინა თუ ხესა ვითარცა ზაქე. უკეთუ ოდენ ეპოვის ესე-ვითარი რა-მე, და მუნით საცნაურ ყვის ჭრტინვა თვსი, ამისთვს დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა. მრავალ-გზის გვხილავს იგი დამალტობელად ღაწუთა თვსთა ცრემლითა ხილვასა ზედა თვით-სახეთა სენთა მიერ განცდილთასა და ხილვად საძნაურთა, რომელნი შეემთხუევიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ჯორცთა, რომელთა ზრდის სხუათა უმეტეს ქუეყანა ქუთათისისა. ვინ აღრიცხუნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნი უკუ-მოიქსნნა თვსთა ყივჩაყთაგან ფასითა.

ვინ ჯეროვნად წარმოთქუნეს პატივის პყრობანი მონაზონთანი, სიმდაბლით შემთხუევანი და მოკითხვანი, და სიყვარულით შეწყნარებანი მათნი,

თვთოეულისა ნიჭნი და საცმარნი, რომლითა უზრუნველ ყენის ყოველთა საჭიროთაგან.

ხოლო აქუნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფესა საქმედ ესე-ცა, რომლითა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა, რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკვრველი. არა-რა შორიელი არ-ცა სამეფოთა შინა მისთა, არ-ცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული, -- არა-რა დაეფარვოდა ყოვლად-ვე, არამედ რა-ოდენ-ცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვს, ყოველი-ვე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანი-ცა და მოგონებანი ვიეთნი-მე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარ-განკდილ ყენის. და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნილნი ღუაწლნი და სათნოებანი უწყოდნის ცხადად, და სიშორე გზისა ვიდრე ეკლესიამდე ზომით იცოდის, და მოთმინებისათვის აქებდის და ნატრიდის. ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ. რამეთუ არა თუ ცუდად რად-მე და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად ვიეთთათვის-მე იქმოდის: ნუ იყოფინ ესე, წარვედ!

არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: პირველად ორგულებასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასა-მე ვერ-ვინ დიდი-ა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებად-ცა, არა თუ თქმად ვისდა, არ-ცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თვისსა თანა, ანუ მოყუასსა თვისსა, გინა ყრმათა თვისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასა-ვე თანა სიტყუასა საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა. და მრავალნი განპატიუებულ-ცა იყვნეს და მხილებულ ესე-ვითართათვის. ამისთვის-ცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაფთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო.

და კუალად მდდელთ-მოდღუართა, მდდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა ესე-ვე საქმე ექმნა წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდნიან არა-რას დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა, და ძაგება არა-წმიდათა და უწესოთა საქმეთა. რამეთუ ვერ-ცა მსოფლიო ვინ-მე და ვერ-ცა მოქალაქე, ვერ მკედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად: რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თვთ მათ მეძავთა-ცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართველ გზათა საღმრთოთა და მშუდობისათა.

ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერ-ვინ ადვილ წარმართის ეგრეთ ამისთვის-ცა შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკვდრნი ქუეყანისანი.

ხოლო შემოკრბა ოდეს-მე წინაშე მეფისა ნათესავი გულ-არ-მნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი

ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თვსთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა. და მოაქსენეს, რათა-მცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყვეს-მცა სიტყვს-გება და გამოძიება სჯულისა: უკეთუ იძლივნენ სომეხნი, და იქმნენ თანა-ერთ-ჳმა სჯულისა და თვისი სჯული შეაჩუენონ; ხოლო უკეთუ სძლონ სომეხთა, ესე-ოდენ მიემადლოს, რათა არღარა გჳწოდდეთ-ო მწვალებელად და არ-ცა შეგუაჩუენებდეთ.

მაშინ მოუწოდა მეფემან-ცა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა, და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათსა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა.

ყვეს უკუე სიტყვს-გება ურთიერთას ცისკრიტგან ვიდრე ცხრა ჟამამდე, და ვერას უძლეს დაბოლოებად. რამეთუ იყო ორ-კერძო-ვე ძღვევის-მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა: რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნად გამოსავალთა, რომელი-ესე შეეწყინა მეფესა და რქუა მათ: "თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადა-მე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონნი. და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარცა მკედრობათა შინა აღზრდილი. ამისთვის-ცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუენ".

ესე რა თქუა, იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმერთი მოსცემდა უეჭუელად პირსა მისსა. ესე-ოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, აკსნათა საკვრველთა მიერ წინა-დაუდგრომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა, ვითარცა მეგვპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდეს-მე დიდმან ბასილი ათინას შინა.

ესე მწვალებელნი და ესე-ოდენ ზარ-გაკდილ ყვნა და ყოვლად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძღვეულება თვისი ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ: "ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი". და ესრეთ ფრიად მაბრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხვლეულნი, არღარა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდეს-ცა.

ხოლო არიან ვინ-მე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთ-ცა ესე-ოდენ მჭირსედ მოქალაქობისა და მოლაშქრობისათვს და მკედრობათა მისთა განუსუენებელისა მიმოსღვისათვს და დაჭირებისა, ვითარმედ: "არ-ცა მშვლდი თავს იდებს-ო მარადის გარდაცმულობასა, არ-ცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ჳმარებისა მათისასა თითოეული მათი უკმარ იპოვოს-ო". და ესე-ვითართა უგიობლისა მისთვის და ყოვლად უმიზეზოსა იტყვან.

გარნა ისმინეთ ესე-ვითართა მათ პირველად ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჳქონდა მოკლებული, და მცირე იყო, და ტყუეობათა და ზემო-ჳსენებულთა

ჭირთაგან მცირე გუნდი მკედრობისა და იგინი-ცა დაჯაბნებულნი, მრავალ-გზის მტერთაგან სივლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი. უკეთუ-მცა ესე-ოდენ უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინა-ძლომითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თვსნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მკნეთა, ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა, არა-მცა მოეღონა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბანად ზრახული, რათა-მცა ექმნნეს ესე-ოდენნი ძლევანი, ანუ რათა-მცა ექმნნეს და აღეხუნეს ესე-ოდენნი სამეფონი? ნუ უკუე ძილითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა; არა ესრეთ, არა, არამედ არ-ცა ალექსანდრე ქმნა ესრეთ. რამეთუ პირველად მამულისა თვსისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგვიპტე, შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგვიპტით პალესტინე და ფინიკე, და კილიკიასა თვსად შემქმნელი, წინა-განეწყო დარიოსს. და რაჟამს სპარსეთი მოირთო, მაშინ-ლა სძლო პიროს ჰინდოსა, და ეგრეთ-ლა ამით ყოვლითა მოვლო ყოველი ქუეყანა; და ქმნა, რა იგი ქმნა; თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერ-ცა-რას ალექსანდრე იქმნადა კარგსა. და თუ-მცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინ-მცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უადრესნი სხუათა ქებულთანი.

ხოლო ვთქუა მეორე-ცა მიზეზი ამის-ვე პირისა, ვინათგან ნათესავი ქართველთა ორ-გულ ბუნება არს პირველითგან-ვე თვსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენებალ იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვთხრობს ძველი მატთანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი. და ესე მან უბრძნესმან ყოველთა კაცთამან კეთილად სად-მე უწყოდა. ამისთვის-ცა არა-ოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქენად რასა-მე ესე-ვითარსა. არამედ საქმეთა, რომელთა იწყო ქმნად, გაასრულნა-ცა მაღლად და შუენიერად. ნუ უკუე და ლომსა-ცა აბრალონ ეგე-ვითართა, რამეთუ არა ციდამტკავლურად იხედავს, არ-ცა კუერნაულად კრთების.

კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ მეტყუელნი ესრეთ: "შეიყუარნის ვინ-მე და განადიდნის ვინ-მე-ო, და კუალად მოიძულნის ვინ-მე და დაამცირნის-ო, ესე აღამადლის და ესე დაამდაბლის-ო". ეჰა უსამართლოებასა, უგუნურებასა! ამისთვის აბრალება, რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა რომლითა-ცა საქმითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან, # კაცო? ამისთვის რად არა ღმერთსა-ცა აბრალებ, უგუნურო, ამას-ვე ესრეთ მოქმედსა? ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ-მყოფელსა მისცნა-ა ათნი ქანქარნი? ანუ არა ერთისა დამფლველსა მოულო იგი-ცა და მისცა ათთა ზედა მეთერთმეტედ? ანუ რასათვს ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების მყოფელთათვს ჰქმმარიტად, ხოლო საშინელეებანი ურჩთა და უღირსთათვს? უკეთუ მეფემან ერთ-გულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორ-გულთა, ჯაბანთა და უღირსთა, ადიდნეს, რა უსამართლო ქმნა? ნუ უკუე დუხჭირმან-ცა აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე მისი ცხადად უჩუენის: უჭმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თვსთა

აბრალებდენ. უკეთუ არა, ვინ იყო ეს-ოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცისასა, რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და კელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისა-ებრ ნაბუქოდონოსორისა: ვხედევდ-ო, იტყვს, ხესა შორის ქუეყანისა სიმაღლედ ცისა მიწდომასა, და რტოთა მისთა კიდედმდე ქუეყანისა ფურცელნი მისნი შუენიერ, და ნაყოფი მისი ფრად და საზრდელი ყოველთა მის შორის. ქუე-კერძო მისსა დაიმკვდრეს მჯეცთა ქუეყანისათა, და შორის რტოთა მისთა მკვდრობა ყვეს მფრინველთა ცისათა, და მისგან იზრდებოდა ყოველი ჯორციელი.

აჰა ესე-რა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრად-ცა თანა-შეტყუებული ჩუენისა თვთ-მპყრობელისა, და ყოვლად გამომსახველი სიტყვთ საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა. რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისათ შემოკრებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგი-ვე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვლითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მაღლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძენეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალ-სახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლევლობითა, და არ-ცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათვს და მდაბალ უმდაბლესთათვს, და თვთ მათ მტერთაგან-ცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთი-ცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათვს შეუძლებელ არს დაკვრება ოდენ, არა-თუ მიბაძვება რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტვრთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარსლვად ღადირთა.

და აქუნდა ყოვლით-კერძო მშვდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა. მაშინ დიდმან მან წინა-განმგებელენ ცხოვრებისა ჩუენისამან და ყოვლისა-ვე უმჯობესად შემცვალებელმან განგებითა მით, რომელი მან უწყის და განაწესებს ჟამთა და წელთა ჩუენთა, ესრეთ განაგო, ვითარცა მუშაკმან კეთილმან: რაჟამს იხილნის ჯუვილნი აღსავსედ ნაყოფითა და ქუეყანად დადრეკილნი, ისწრაფის დაუნჯება მათი; და ვითარცა მენავემან ბრძენმან განიცადის რა ნავი თვისი აღსავსედ მრავალ-ფერთა ტვრთითა, მისწრაფის ნავთ-სადგურად, რათა არარა ევნოს სოფლისა ამის მღელვარისა ზღვსაგან.

რამეთუ ჟამსა ზამთრისასა, მშვდობასა და დაწყნარებასა ყოვლისა სამეფოსასა, არა გარეგნად მენაკიდურესა, არამედ საშუალ თვსთა სამეფოთა ადგილთა, თვთ მის მიერ-ვე წინათ განჩინებულთა განსასუენებელად და მისაძინელად, ვითარცა ჰრულითა რათა-მე შუენიერითა დაიძინა მამათა თვსთა თანა. და თვთ მეზრ ესე კმა არს საცნაურ მყოფელად საკუთრებისა თვსისა ღმრთისა მიმართ. რამეთუ მრავალ-გზის მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკუდილისათა შთავარდა იგი, რომელთაგან მცირედი მივსცეთ თხრობასა. რამეთუ ნადირთა დევნასა შინა ოდეს-

მე მუხნარს წაექცა ცხენი, და ესე-ოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად, სამშვნელისაგან ოდენ საცნაური ცოცხლად. და შემდგომად სამ დღე ნამტკნარსა სისხლისასა აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყუა, და ძლითა აღდგა ცოცხალი. და ესე-ვითარი მრავალ-გზის შეემთხვა და ღმერთმან იცხნა სიკუდილისაგან.

კუალად ციხესა რომელსა-მე ბრძოდეს ქართლს, და მეფე კარსა კარვისა თვისისასა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუა-დღე, და ციხით ვინ-მე შემოსტყორცა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარ-ანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვდობით. რა-ოდენ-გზის ყივჩაყთა თვსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინეს კაცნი მკნენი, რომელნი-მე ჳრმლითა, რომელნი-მე შუბითა, სხუანი ისრითა; და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალ-გზის; და არა-ოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა", არ-ცა ოდეს მისცა იგი ჳელთა მეძიებელთა მისთასა, დაღათუ მრავალ-გზის დევნასა თურქთასა მარტო დაეპყრის. ანუ უსაჭურველო, გარნა ყოველსა შინა ჳელი იგი ზეგარდამო ფარვიდა მდევართა მისთაგან, არამედ ყოვლად-ვე და ყოველსა შინა საქმესა მისსა იყო ბედნიერ და სჯან, და მადლითა აღსავსე. ეგრეთ-ვე ჟამსა შინა შუენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შემყუარებელსა თვსსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა. და არღარა მიუშვა მრავალ-ჟამ სჯად და დაჭირვად სამსხემოსა ამას კედარსა შინა მკვდრობითა, და ჳორცთა ამათ ქუე-დამხიდველთა მიერ შეკრვად სულსა გონება-ქმნულსა, არ-ცა განხრწნადითა გვრგვნითა და პორფირითა, ვითარცა სიზმრითა და ნაოცნითა, უმრავლესად მღერად, არამედ ნანდვლ ჳემმარიტითა და მტკიცითა, წარუდინებელითა და სამარადისოთა. სადა თვთ იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა, მუნ აღიყვანა მის თანა მეფობად, უხრწნელითა და ბრწყინვალითა გვრგვნითა და პორფირითა შემკული, სადა იგი აწ მკვდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთაებისასა.

რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი. ხოლო მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და, ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამან-ცა თვსითა ჳელითა დასუა საყდართა თვსთა მე თვსი დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული, მარადღე გარდამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა, და დაადგა თავსა შუენიერსა გვრგვნი ქვათაგან პატიოსანთა, ვიტყვ უკუე სათნოებათა მამულთა, და შეარტყა ჳელთა ძლიერთა მახული, ეჳა, რაბამ სჯანად ჳმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით, თაყუანის-ცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა, გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვდობა. და ესრეთ განცვალა ქუენა მოქალაქობა ზენად სუფევად, რომლისა მკვდრნი განჳსნილ არიან შრომათაგან და ოფლთა და ზრუნვათა, და მუნ მეფობს სიმდიდრეთა მათ ზედა, რომელნი შინა წარგზავნა, საუნჯეთა მათ მაღალთა და მჳარავთაგან უშიშთა დაღევნისა და მოკლებისაგან, ქალაქსა მას, რომლისა შუენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა და რომლისა ბრწყინვალეობა ვერა აღვალს გულსა ჳორციელსა, ვერ-ცა სასმენელი დაიტევს სმენილსა. რამეთუ მუნ არს შუება და

სიხარული, რომელსა არა აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგს სიგლახაკე და მხიარულება, რომელსა არა განკუეთს ურვა და მეფობა, რომელსა არა აქუს აღსასრული, და მუნ არს ცხოვრება, რომელსა არა შეამღურევს სიკუდილი.

გადამწერის ანდერძი

საქმენი ჳელთა ჩუენთანნი წარმართენ უფალო. ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესაობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქეციოთ და მოვიდეთ სული ქრისტიანობისა და ვიცანთ ღმერთი, ისმინეთ აღწერილი აბიათარისი.

ადიდენ ღმერთმან და დაამყარენ ორთა-ვე ცხოვრებათა შინა პატრონნი: დედოფალთა დედოფალი ნესტან-დარეჯან, და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა. ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი, მაშენებელნი ეკლესიათანი. რამეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჳელ იყო განწმედად და აღშენებად; ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოვლისაგან ღუარძლისა, აღაშენნეს ცაჲ და გუმბათი და სამჯრონი რაბამ რა-მე აღმატებულად და შემსგავსებულად, ვითარცა ჳერ იყო წინანდელთა ქმულთა ნივთთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებელობისა. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა, ყოვლად დიდებულთა ყოვლითა სიკეთითა, შესწირნა მრავალნი გლეხნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთათჳს. შემდგომად ამათ თანა რა-ოდენნი-მე ეკლესიანი აღაშენნეს და რა-ოდენნი-მე წარმართთაგან შეგინებულნი ეკლესიანი განწმიდნეს სახლად ღმრთისა და წარსამართებელად მეფობისა თჳსისა.

ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარ-მოწამეო, მცველ და მფარველ, მჯარსა მდგომელ და განმმარჯუებელ ექმნენით ორთა ცხოვრებათა შინა პატრონთა: დედოფალთა დედოფალსა ნესტან-დარეჯანს, და ძესა მათსა, ღმრთივ-გზრგვზოსანსა მეფესა ალექსანდრეს, და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა; დაღაცათუ ჩუენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებათა მისთა ვერ-და-რა ურჩ ვექმნენით. ხოლო ჩუენ ძალისა-ებრ, ვითარცა ძალ-გუედჳა, ვილუაწეთ, დაღაცათუ ნალუაწი ესე უნდო და უშუერ არს, არამედ შენდობა იყავნ ყოველთაგან.

ტექსტი ადაპტირებულია **თსკა**-ს ისტორიის განყოფილების მიერ **ტიტუს პროექტის** ელექტრონული გამოცემიდან პორტ. **ისტ გიპპერტან (TITUS Project, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი)** შეთანხმებით